**ხელშეკრულება №10-103/1**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

**ქ. თბილისი** **13 ოქტომბერი, 2016 წ.**

**შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,** წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2 200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

**მიმწოდებელი: შპს „ჯეო-შოთ-სელინგ",** წარმოდგენილი მისი დირექტორის გია ნასყიდაშვილის სახით,
მისამართი: თბილისი, მ.მამარდაშვილის ქ N18ა
ტელ: 591 30 31 31
ბანკი: სს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი TBCBGE22; ა.ა. GE50TB 7648736020100001
ს/კ 202452719

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

**2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი**

ხელშეკრულების საგანია კარის ბოქლომის (CPV44500000) შესყიდვა, რომლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში.

**3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **200.0 (ორასი) ლარს.**
3.2 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ერთეულის ფასი მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

| № | დასახელება | სპეციფიკაცია | რ-ბა | ერთ. ფასი | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბოქლომი | ჩამოსხმული ნაწრთობი ფოლადისგან, რაც მის გატეხვას და/ან დაზიანებას შეუძლებელს გახდის, დიდი ზომის, რკინის ჭიშკრებისათვის განკუთვნილი, არანაკლებ 3 გასაღებისა | 8 | 25 | 200 |

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნის, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების, მიღება-ჩაბარების აქტისა და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.5 დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" , პროგრამული კოდი 320101).

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 8.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.
5.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

**6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი**

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **3 (სამი) სამუშაო** დღის ვადაში.
6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ.უზნაძის N52.

**7. მხარეთა უფლება–მოვალეობები**

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1. შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. იგი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე.
7.1.2 დეფექტიანი ან ნაკლოვანი საქონლის ჩანაცვლებისას შემსყიდველს მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის, იგივე ან გაუმჯობესებული მონაცემების მქონე საქონელი.
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია:
7.3.1 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

**8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

8.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:
8.1.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
8.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ზაზა დოლიძე.

**9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ პუნქტის 10.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.
9.4 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

## 10 გარანტია

10.1 შემსყიდველისათვის მიწოდებულ საქონელზე, ვრცელდება გარანტია 1 (ერთი) წლის ვადით.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის მხრიდან საქონლის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით (იგივე ან გაუმჯობესებული მონაცემების მქონე საქონელი), შეტყობინებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ხარვეზი გამოწვეულია მექანიკური დაზიანებით ან ბუნებრივი ცვეთით.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

15ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

## 14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

15.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 16.ზოგადი დებულებები

16.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

16.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
16.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.
16.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

შემსყიდველი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მინისტრის პირველი მოადგილე
ქეთევან ნატრიაშვილი

-----------------------------------

მიმწოდებელი:

შპს „ჯეო-შოთ-სელინგი“

დირექტორი
გია ნასყიდაშვილი

-----------------------------------

მიღება-ჩაბარების აქტი № 10-103/1

ქ. თბილისი 18-10. 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის გიორგი გურგენიძის სახით და მეორეს მხრივ "მიმწოდებელი"

**„შპს „ჯეო-შოთ-სელინგი"**

(დაწესებულების დასახელება)

**მისი დირექტორის გია ნასყიდაშვილის სახით**

(ხელმძღვანელის დასახელება)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2016 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული №10-103/1 ხელშეკრულების თანახმად "მიმწოდებელმა", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს "განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება"(კოდი 320101) დაფინანსების ფარგლებში, უზრუნველყო ბოქლომების მოწოდება, საერთო ღირებულებით **200.0 (ორასი) ლარი.**

| № | დასახელება | სპეციფიკაცია | რ-ბა | ერთ. ფასი | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბოქლომი | ჩამოსხმული ნაწრთობი ფოლადისგან, რაც მის გატეხვას და/ან დაზიანებას შეუძლებელს გახდის, დიდი ზომის, რკინის ჭიშკრებისათვის განკუთვნილი, არანაკლებ 3 გასაღებისა | 8 | 25 | 200 |

**200.0 (ორასი) ლარს.**

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ______________________________

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

**200.0 (ორასი) ლარს.**

მოწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს ______________________________

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ჩააბარა:

**„შპს „ჯეო-შოთ-სელინგი"** -სდირექტორი /გ.ნასყიდაშვილი/

მიიღო:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
სამმართველოს უფროსი /გ.გურგენიძე/

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0268066198 |
|---|---|---|

| 2 | 18/10/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 13:42:53 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს ჯეო-შოთ-სელინგ | 202452719 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 202051224 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | თბილისი ვ. ბაგრატიონის ქ.74 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | თბილისი დ.უზნაძის ქ.52 |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | საავტომობილო |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | FLF583 |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

| X |
|---|

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | 43001011204 გია ნასყიდაშვილი |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | გამყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბოქლომი დიდი | 02908 | ცალი | 8.0000 | 25.0000 | 200.0000 |

| 13 | 200 - ორასი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | ხელშეკრულება 10-10311 |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭვდვის თარიღი 19/10/2016, 16:24:13

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

გადაგზავნილი

| | |
|---|---|
| 1 | ეა-13 3354024 |

| | | |
|---|---|---|
| 3 | ოქტომბერი | 2016 |

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | 18 | ოქტომბერი | 2016 |

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

| | |
|---|---|
| 5 | გამყიდველი |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.1 | 2 | 0 | 2 | 4 | 5 | 2 | 7 | 1 | 9 | | |

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| | |
|---|---|
| 5.2 | შპს ჯეო-შოთ-სელინგ |

დასახელება (სახელი, გვარი)

| | |
|---|---|
| 6 | მყიდველი |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6.1 | 2 | 0 | 2 | 0 | 5 | 1 | 2 | 2 | 4 | | |

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| | |
|---|---|
| 6.2 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| ბოქლომი დიდი | ცალი | 8.0000 | 200.0000 | 30.5100 | 0.0000 |
| | | სულ | 200 | 30.51 | 0 |

| სასაქონლო ზედნადების No | | | თარიღი |
|---|---|---|---|
| 7 | 0268066198 | 8 | 18 - ოქტომბერი - 2016 01:42 |

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა________________________ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა________________________ბ.ა.